



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. ნოემბრის 22

№ 28

თბილისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

122. „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში კოლმეურნეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო არტელების წესდებათა შემუშავებისა, განხილვისა და მიღების ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. 17 მაისის დადგენილების III კარის მე-3 მუხ. შენიშვნის გაუქმების შესახებ.

123. 1941 წლის 1 იანვრისათვის პირუტყვისა და ფრინველის საკავშირო აღწერის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

124. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნისა და რეგისტრაციის წესის შესახებ.

125. საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში საქალაქო ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებათა ორგანიზაციის შესახებ.

126. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხანძრებთან ბრძოლის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ.

**სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
 ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი**

122. „საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო არტელების წესდებათა შემუშავებისა, განხილვისა და მიღების ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. 17 მაისის დადგენილების III კარის მე-3 მუხ. შენიშვნის გაუქმების შესახებ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე გაუქმდეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებისა და სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან მოწონებული საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო არტელების წესდებათა შემუშავებისა, განხილვისა და მიღების ღონისძიებათა შესახებ გამოცემული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 17 მაისის დადგენილების III კარის მე-3 მუხ. შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 19, მუხ. 118), რომლის თანახმად დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის რაიონების, თელავის რაიონის თუშური სოფლების საკოლმეურნეო კომლებისათვის, აგრეთვე აჭარის ასსრ მომთაბარე-ხიმშილთა მეურნეობებისათვის დაშვებულია იყოლიონ პირად სარგებლობაში 80 სულამდე ცხვარი და თხა ერთად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
 თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც.კ-ის
 მდივანი კ. ჩარკვიანი.

1940 წ. ნოემბრის 5. № 2243.
 თბილისი.

123. 1941 წლის 1 იანვრისათვის პირუტყვისა და ფრინველის საკავშირო აღწერის შესახებ.

იმ მიზნით, რომ შემოწმდეს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულება და მიღებული იქნას ზუსტი ცნობები საქართველოს სს რესპუბლიკაში პირუტყვის რაოდენობის შესახებ, „1941 წლის 1 იანვრისათვის პირუტყვისა და ფრინველის სრულიად საკავშირო აღწერის თაობაზე“ (სსრკ კან. კრ. 1940 წ. № 29, მუხ. 705) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 29 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს ჩაატაროს 1941 წლის 1-დან 8 იანვრამდე პირუტყვისა და

ფრინველის აღწერა საქართველოს სსრ სასოფლო და საქალაქო ადგილებში 1941 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

ფრინველის აღრიცხვა მოხდეს მხოლოდ კოლმეურნეობებში და შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით—ფრინველის საერთო რაოდენობა, აქედან ცალკე უხ. და იქნას ნაჩვენები ბატი, იხვი, ინდაური.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს ჩაატაროს პირუტყვის ვადამდე აღწერა 20 ნოემბრიდან 1941 წლის 1 იანვრამდე ზემო-სვანეთის, ქვემო-სვანეთის და ყაზბეგის რაიონებში, თელავის რაიონის მთათუშეთის სასოფლო საბჭოში და აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის ვსხუს სასოფლო საბჭოში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსს ამხ. გელაშვილს:

ა) არაუგვიანეს 1940 წლის 1 დეკემბრისა უზრუნველჰყოს აღწერის ყოველგვარი ფორმებისა და ინსტრუქციების გადათარგმნა, დაბეჭდვა, ადგილებზე დაგზავნა;

ბ) იმავე ვადისათვის ჩაატაროს ქ. თბილისში სახალხო მეურნეობის აღრიცხვის რაიონულ და საქალაქო ინსპექტორთა ინსტრუქტაჟი, ხოლო აღმწერთა ინსტრუქტაჟი რაიონებში—1940 წლის 15-დან 25 დეკემბრამდე;

გ) 1940 წლის 15 დეკემბრისათვის საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს წარმოუდგინოს ანგარიში აღწერისათვის მზადების მდგომარეობის შესახებ;

დ) პირუტყვისა და ფრინველის აღწერის წინასწარი შედეგები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს წარმოუდგინოს 1941 წლის 17 იანვრისათვის, ხოლო საბოლოო შედეგები—არაუგვიანეს 5 მარტისა.

4. დაევალოს ყველა იმ უწყებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, რომლებსაც მეცხოველეობის მეურნეობები აქვთ, აგრეთვე ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს 1940 წლის 31 დეკემბრისათვის დაამთავრონ პირუტყვის ინვენტარიზაცია იმ ანგარიშით, რომ მეურნეობებში აღწერის დაწყებისათვის ექნეთ ზუსტი ცნობები პირუტყვისა და ფრინველის რაოდენობის შესახებ.

კოლმეურნეობებში პირუტყვისა და ფრინველის ინვენტარიზაციის დროზე და სწორად ჩატარებისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს და კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მიავლინოს აპარატის მუშაკები, რომლებმაც დახმარება გაუწიონ რაიონებს კოლმეურნეობებში პირუტყვის ინვენტარიზაციის ჩატარების საქმეში.

6. სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველომ მიავლინოს სპეციალური მუშაკები პირუტყვის აღწერის ჩასატარებლად საზამთრო სამოვრებზე. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს და მშრომელთა დეპუტატების რაი-

ონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს ვაგითქვონ პასუხისმგებელი მუშაკები სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს ხმ რწმუნებულთა დასახმარებლად, რომლებიც საზამთრო საძოვრებზე არიან რესპუბლიკური და რესპუბლიკის გარეშე მდებარე საზამთრო საძოვრებზე მყოფი პირუტყვის აღსარიცხავად.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ჩრდილოეთ-კავკასიის საზამთრო საძოვრების სამმართველოს უფროსს ანხ. ა. ბედიაშვილს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ბრიგადებს საზამთრო საძოვრებზე პირუტყვის აღრიცხვის სწორად ჩატარების საქმეში.

7. დავეალოს საქ. კ. პ. (ბ) საოლქო და სარაიონო კომიტეტებს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს, ყველა საქალაქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) 1940 წლის 15 დეკემბრისათვის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ინსპექტორთა წარდგენით განიხილონ და დაამტკიცონ პირუტყვის აღმწერთა პერსონალური შემადგენლობა, ამასთან აღწერის პერიოდში გაანთავისუფლონ ისინი ძირითადი სამუშაოსაგან ისე, რომ მიეცეს მათ დამატებითი გასამრჯელო იმ ხელფასის გარდა, რაც მათ მუდმივი სამუშაო ადგილის მიხედვით შეენახება;

ბ) უზრუნველყვონ აღწერის მუშაკები რაიონის შიგნით და საზამთრო საძოვრებზე გადასაყვანი საშუალებებით;

გ) მიამაგრონ თვითეულ სასოფლო საბჭოს რაიონული და სასოფლო აქტივის მუშაკები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ორგანოებს იმ მხრივ, რომ სავსებით ჩატარდეს პირუტყვის აღრიცხვა და აღწერა დაწესებულ ვადაში.

დ) არაუგვიანეს 1940 წლის 15 დეკემბრისა მოისმინონ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ინსპექტორთა მოხსენებანი პირუტყვის აღწერისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ;

ე) პირუტყვის აღწერის დამთავრების შემდეგ მოისმინონ მოხსენებანი, აღწერის შედეგების შესახებ და უზრუნველყვონ წინასწარი შედეგების წარდგენ საქართველოს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოსათვის არაუგვიანეს 1941 წლის 15 იანვრისა;

ვ) ფართოდ განუმარტონ ყველას, რომ ის პირები, რომლებიც არასწორად ჩაატარებენ პირუტყვის აღწერას, აგრეთვე გადაამალავენ პირუტყვს და წინააღმდეგობას გაუწევენ აღწერას, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში სისხლის საპართლის წესით.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა პირუტყვის სრულად და თავის დროზე აღრიცხვას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ საქ. კ. პ. (ბ) საოლქო და სარაიონო კომიტეტების ყველა მდივნებს, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს და მშრომელთა დეპუტატების რაი

ონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს მეტეალყურობა გაუწიონ აღწერისათვის მზადების საქმეს და უზრუნველყონ აღწერის მაღალხარისხიანი ჩატარება.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს
თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. ვ. (ბ) ც.კ-ის
მდივანი კ. ჩარკვიანი.

1940 წ. ნოემბრის 15. № 2332.
თბილისი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

124. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნისა და რეგისტრაციის წესის შესახებ.

„სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 16 აპრილის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1940 წლ. № 15, მუხ. 363) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სს რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარების სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა ფილიალების (განყოფილებების, კანტორების, სააგენტოების) და ყოველგვარი წარმომადგენლობების გახსნა (მათ შორის ერთპიროვნულ რწმუნებულთა დანიშვნა) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, გარდა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების სისტემაში შემავალი ორგანიზაციებისა და საწარმოებისა, შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით.

2. საერთო-საკავშირო მნიშვნელობის, აგრეთვე საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატებისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების უწყებათა სისტემის სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხდება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია „სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნის და რეგისტრაციის წესის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 9 დეკემბრის დადგენილების 1 მუხლის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ პუნქტებით (სსრკ კან. კრ. 1935 წ. № 64, მუხ. 518).

3. სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა 1 და 2 მუხლებში აღნიშნული ფილიალები და წარმომადგენლობანი, უკეთუ მათზე ვრცელდება სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრ-

ციის დებულების (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 15, მუხ. 363) 2 მუხლის მე-2 პუნქტი „ე“, აგრეთვე მუხ. 3, რეგისტრირებულ უნდა იქნან საქალაქო საფინანსო-განყოფილებებში, ხოლო ქ. თბილისში—სათანადო რაიონულ საფინანსო განყოფილებაში.

საეკურო ორგანიზაციებმა, რომლებმაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსაგან მიიღეს წარმომადგენლობათა შექმნის ნებართვა, ამის გარდა, თავიანთი წარმომადგენლები უნდა გაატარონ რეგისტრაციაში საქართველოს სსრ ვაქრობის სახალხო კომისარიატში.

4. საფინანსო განყოფილებებში რეგისტრაცია ხდება „სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაციის დებულებით“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 15, მუხ. 363) გათვალისწინებული წესით.

5. სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეკრძალებათ რაიმე ხელშეკრულებათა და გარიგებათა დადგმა იმ ფილიალებთან და წარმომადგენლობებთან, რომლებიც ზემოაღნიშნული წესით არ არიან გაფორმებული.

6. სათანადო სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელები, აგრეთვე ფილიალებისა და წარმომადგენლობათა სათავეში მდგომი პირები, ფილიალებისა და წარმომადგენლობათა გახსნის ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესის დარღვევისათვის, მიცემულ უნდა იქნან პასუხისგებაში სრისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლის თანახმად.

7. გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 9 თებერვლის დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამეურნეო ორგანიზაციათა და წამოწყებათა ფილიალების და წარმომადგენლობების გახსნისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 5, მუხ. 28).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. ნოემბრის 14. № 2300.

თბილისი.

125. საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში საქალაქო ნება-ყოფლობითი სახანძრო საზოგადოებათა ორგანიზაციის შესახებ.

საქალაქო (მუშათა დაბის, რაიონული ცენტრის) ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ტიპური წესდების შესაბამისად, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 22 მარტის დადგენილებით (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 8, მუხ. 221) იმ მიზნით, რომ მოსახლეობის ფარ-

თო ფენები ჩაბმულ იქნან სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა ქონების ხანძრისაგან დაცვის საქმეში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების ყველა საქალაქო და სარაიონო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს შინსახკომის საქალაქო-სარაიონო განყოფილებათა უფროსებთან ერთად:

ა) ამ დადგენილების მიღების მომენტიდან ორი დეკადის ვადაში განიხილონ პრეზიდუმის სხდომაზე საქალაქო (რაიონული ცენტრის, მუშათა დაბის) ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებათა თანდართული ტიპური წესდება, დაამტკიცონ იგი მოცემული ქალაქისათვის (რაიონული ცენტრისათვის, მუშათა დაბისათვის) და გაამრავლონ საკმაო რაოდენობით მოსახლეობაში გასავრცელებლად;

ბ) ერთი თვის ვადაში მოაწიონ ქალაქში (რაიონულ ცენტრში, საქალაქო დაბაში) ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებანი და განახორციელონ საზოგადოებათა საქმიანობის ხელმძღვანელობა;

გ) რადიოსა და ადგილობრივი პრესის მეშვეობით ფართოდ განუმარტონ ქალაქის (რაიონული ცენტრის, მუშათა დაბის) მოსახლეობას ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებათა ორგანიზაციის მნიშვნელობა და მისი ამოცანები;

დ) არაუგვიანეს 1941 წლის 1 იანვრისა აცნობონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სსრ შინსახკომის სახანძრო დაცვის სამმართველოს ამ დადგენილების 1 მუხლის შესრულება, ამასთან აღნიშნონ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებათა გაფორმებული წევრების რაოდენობა და საზოგადოების საბჭოს პერსონალური შემადგენლობა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის სახანძრო დაცვის სამმართველოს (ამხ. ოყროშიძეს) სისტემატური დახმარება გაუწიოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებათა მოწყობისა და მათი მუშაობის საქმეში და პერიოდულად მოაწოდოს ინფორმაცია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საზოგადოებათა საქმიანობის შესახებ.

3. წინადადება მიეცეს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორს ამხ. გრიგორიანს და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს ამხ. ხატიაშვილს, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობის კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ცაგარეიშვილს ფართოდ გააშუქონ პრესაში და რადიოთი საქალაქო (რაიონული, ცენტრალური და სადაბო) ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებათა ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.



126. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხანძრებთან ბრძოლის ზოგიერთი სახელისწილი ნიხსიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე ორგანიზაციები და უწყებები ჯერ კიდევ საკმაოდ არ ატარებენ ცხოვრებაში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 ივნისის № 891 და 1939 წლის 22 მაისის დადგენილებებს „ხანძრის საწინააღმდეგო დაცვის დარგში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 14, მუხ. 58).

სუსტად არის დაყენებული მოსახლეობაში მასობრივ ახსნა-განმარტებითი მუშაობა სახანძრო ღონისძიებათა შესახებ, ყველა საწარმოო და უმნიშვნელოვანესი ობიექტები როდი არიან უზრუნველყოფილი ცეცხლსაქრობებით და სახანძრო ინვენტარით, საკმაო ყურადღება არ ექცევა სახანძრო ჰიდრანტების გაუმჯობესებასა და განვითარებას, ხოლო ბევრ ქალაქში, რაიცენტრებსა და სხვა საწარმოებსა და მეურნეობებში, სადაც წყალსადენები არა აქვთ, არ არის მოწყობილი სახანძრო რაზმებისათვის წყლის მიწოდება ხელოვნური წყალსაცავებიდან და უახლოესი წყალსატევებიდან; ამ წყალსატევებთან არ არის მოწყობილი მისასვლელები, სრულიად არადაამაკმაყოფილებლად არის დაყენებული შინსახკომის სახანძრო რაზმებთან უმნიშვნელოვანესი ობიექტების დაკავშირების საქმე, რის გამო გაძნელებულია როგორც სახანძრო რაზმებისათვის თავის დროზე შეტყობინება, ისე ხანძრის ჩაქრობაც; წყლის უქონლობის გამო, ამის შედეგად მრავალ ადგილას გაჩნდა ხანძარი, რამაც სახელმწიფოს უდიდესი მატერიალური ზარალი მიიყენა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელთაც წყალსადენები აქვთ, სახანძრო დაცვასთან ერთად შეიმუშაონ სახანძრო ჰიდრანტების დადგმის სქემა 1941-1942 წლებისათვის, თანახმად წყალსადენის ქსელის არსებული პროექტისა, ხოლო სახანძრო ჰიდრანტების განლაგების ადგილებთან გააკეთონ წარწერა მათი ადგილსამყოფელის აღნიშვნით.

2. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა კაპიტალური მშენებლობის გეგმებით ყოველწლიურად გაითვალისწინოს წყალსადენის მქონე ქალაქებში ქსელის განვითარება და სახანძრო ჰიდრანტების დადგმა, თანახმად ქსელის დამტკიცებული პროექტისა.

3. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უზრუნველჰყონ მხოლოდ საერთო-საკავშირო სტანდარტული ნიმუშის სახანძრო ჰიდრანტების დადგმა და შესცვალონ არსებული ჰიდრანტები მათი გაცვეთის მიხედვით—სტანდარტული ჰიდრანტებით.

4. სამრეწველო საწარმოების დირექტორებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ციათა ხელმძღვანელებმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით თავიანთ ხარჯზე დასა-დგან სახანძრო ჰიდრანტები ისეთ პუნქტებში, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის მიწოდებას მათდამი დამქვემდებარებულ ობიექტებისათვის.

5. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმას-რულებელმა კომიტეტებმა, წყალსადენების უქონლობის შემთხვევაში, უკეთეს მათ მოეპოვებათ წყლის მომარაგების სხვა ბუნებრივი წყაროები (მდინარეები, კები, ტბორები და სხვ.), უზრუნველყონ იმის შესაძლებლობა, რომ ეს ბუნებრივი წყაროები დაუბრკოლებლივ იქნას გამოყენებული წლის ყოველ დროს, რისთვისაც მოაწიონ ამ წყაროებთან მისასვლელეები მოძრავი სახანძრო ტუმბოებისათვის.

6. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონუ-ლი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სამრეწველო საწარმოთა დირექტ-ორებს და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს იმ პუნქტებში, სადაც წყალსადენები არ არის, მოაწიონ 1941 წელს დახურული აუზები ან რეზერვუ-არები, რომლებიც წყლის 3 საათის მარაგს დაიტევენ შინსახკომის სახანძრო რაზმების ავტოტუმბოებისათვის.

7. საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა და საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა, საწარმოთა დირექტორებმა და სამეურ-ნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ 1941 წელს ამისათვის საჭირო სახსრები ლიმიტარულზე ხარჯების ანგარიშში.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კო-მისარიატს იმ სახსრების ხარჯზე, რომლებსაც სახდაზღვევა გაიღებს სახანძრო ღონისძიებებისათვის, დანერგოს მცირეწყლიან კოლმეურნეობებში „ტარანის“ ტუმბოები, როგორც მარტივი კონსტრუქციის ტუმბოები, რომლებიც უზრუნ-ველყოფენ წყლის მიწოდებას იაფი საშუალებით.

9. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომი-სარიატის რწმუნებულს საქ. სსრ-ში (ამხ. ქრისტესაშვილს) უზრუნველყოფის 1941 წელს საქალაქო და რაიონულ სახანძრო რაზმებთან პირდაპირი სატელეფონო კავშირით შემდეგი სამრეწველო ობიექტები ამ საწარმოების ხარჯზე:

ქ. თბილისში შემდეგი ობიექტები—ცეკავშირი, ავტობაზა სამტრედიის ქ. № 33, „კოოპლოდოტარის“ ბაზა სამხრეთის პარკში და საქტყეკოოპვაქრობის გეჯის წარმოება ბრძოლის ქ. № 35.

ქ. ქუთაისში—აბრეშუმის კომბინატი, ლიტოპონის ქარხანა, საკონსერვო არხანა და სამკერვალო ფაბრიკა;

ქ. ფოთში—სოფლკომბინატი, ფოთის ნავთსადგური;

ქ. ზუგდიდში—ჩაის ფაბრიკა, ხოლო ინგურქალაღდკომბინატის ხარჯზე—ომბინატის დაკავშირება ზუგდიდის სახანძრო რაზმთან;

ქ. ლანჩხუთში—ჩაის ფაბრიკა;

მახარაძის რაიონში—მახარაძის ჩაის ფაბრიკა, ანასეულის აბრეშუმ-სახე-
ვი ფაბრიკა და ცეკავშირის საწყობები.

10. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კო-
მისარიატის რწმუნებულს საქ. სსრ-ში გააძლიეროს საქალაქო სახანძრო რაზმებ-
თან ობიექტების პირდაპირი საინდუქტორო სატელეფონო კავშირის პროფილაქ-
ტიური მომსახურება და რემონტის ჩატარება.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის
სახალხო კომისარიატს 1941 წლის 1 იანვრამდე შეიმუშაოს და საქართველოს
სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარმოუდგინოს ღონისძიებანი, რომლებიც უზ-
რუნველყოფენ ცეცხლსაქრობებისა და პენოგენერატორთა მუხტების, აგრეთვე
წვრილი სახანძრო მოწყობილობის, მათ შორის სტანდარტული ნიმუშის ჰიდ-
რანტების, წარმოების მოწყობას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. ნოემბრის 14. № 2308.

თბილისი.

